დანართი

კონკურსის - „კულტურული მარშრუტების გამოვლენა და ხელშეწყობა“ საკონკურსო პირობები

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული კულტურული მარშრუტების განვითარებას, პოპულარიზაციას, ახალი მარშრუტების გამოვლენასა და ხელშეწყობას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების განხორციელების/წახალისების გზით;

2. უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს, ევროპის საბჭოს არსებულ კულტურულ მარშრუტებთან მიერთების შესაძლებლობებს და პოტენციალს ან/და ახალი საერთაშორისო მარშრუტის/ების ინიცირების პერსპექტივას.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შემდგომში - კონკურსანტი);

2. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა;

3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;

4. კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არა უადრეს **1 ივლისისა** ხოლო დასრულების თარიღად არა უგვიანეს **30 ნოემბრისა;**

5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 108 170 ლარს, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებული პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია).

6. კონკურსში უპირატესობა მიენიჭება პროექტს რომელიც:

ა) სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო დებულების მიზნებს და გათვლილია გრძელვადიან შედეგზე;

ბ) ითვალისწინებს პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე, თანდართული დანართი N1-ის ფორმის შესაბამისად;

ბ) საპროექტო განაცხადი თანდართული დანართი N2-ის - შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას;

ბ.ბ) პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში, თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ (გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციებისა).

2. კონკურსანტი უფლებამოსილია, საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია;

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება (გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციებისა);

4. პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ თანდართული დანართი N4-ის შესაბამისად - ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

- ხარჯვის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციაში, მათ შორის:

  - ხელშეკრულება (შესყიდვის, შრომითი);
  - მიღება-ჩაბარების აქტი (საქონლის, მომსახურების);
  - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო მოთხოვნა)

მითითებული უნდა იყოს დაფინანსების წყარო **„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“** და პროგრამის დასახელება ,,კულტურის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 32 10 02).

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს კომისია;

2. კომისია განისაზღვრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 თებერვლის N160 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საბჭოს შემადგენლობით.

3. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, 100 ქულის ფარგლებში.

#	შეფასების კრიტერიუმი
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში
4	მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა

4. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვავაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს გამარჯვებულ კონკურსანტს, კომისიის მიერ მისთვის განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის (მათ შორის ხარჯთაღრიცხვის) დაზუსტების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

6. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის პროექტი, რომელიც დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

7. კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროექტის მოწონების შესახებ;

ბ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ.

ე) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

ვ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე, პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის არაუმეტეს 90 % -ის ოდენობით.

8. კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული განაცხადის (დანართი N3) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის culture@mes.gov.ge საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;

9. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

10. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

11. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მინისტრს;

12. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან პროექტის განხორციელებამდე დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.

13. თუ გამარჯვებული კონკურსანტი, სამინისტროს სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, მისი დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის N132 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი 32 10 02) ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების წესის შესაბამისად.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი:

1. ანგარიშსწორება კონკურსში გამარჯვებულ პირთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით წინასწარი ანგარიშსწორება საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის არაუმეტეს 50 % -ის ოდენობით.

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით წინასწარი ანგარიშსწორება სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის არაუმეტეს 90%-ის ოდენობით, შესაძლებელია, მხოლოდ კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით.

4. ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში მუხლთაშორისი ცვლილებები დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის 10% -ის ფარგლებში, გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შრომის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლებში თანხის დამატებისა.

5. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტის აღწერილობაში რაიმე ცვლილების ან ხარჯთაღრიცხვაში ახალი პუნქტის (10%-ის ზევით) დამატების შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე, აღნიშნული საკითხი წინასწარ წერილობით შეათანხმოს სამინისტროსთან.

6. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში თანდართული დანართ N4-ის შესაბამისად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით რომლებშიც სავალდებულოა დაფინანსების წყაროდ დაფიქსირდეს „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“, პროგრამა ,,კულტურის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 32 10 02).

მუხლი 6. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება **2019 წლის 7 მაისიდან - 2019 წლის 27 მაისის** ჩათვლით (15:00 სთ-მდე) საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართებზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4 ან ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის N52.

2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე კონსულტაციები გაიმართება:

ა) 2019 წლის **10 მაისს** 14:00 სთ-ზე;

ბ) 2019 წლის **20 მაისს** 14:00 სთ-ზე;

მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.

3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.mes.gov.ge **არა უგვიანეს 2019 წლის 1 ივლისისა.**

4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაბრუნდება.